DIPLOMAT GEORGIA × Signify

გაციფრულებული კონტრაქტები 500-ზე მეტ პარტნიორ კომპანიასთან და 5-ჯერ უფრო აჩქარებული ბიზნეს პროცესები

ქეისი

გაციფრულებული კონტრაქტინგის პროცესი
DIPLOMAT GEORGIA-ში

კომპანია

„დიპლომატ ჯგუფი“ 50 წლიან საერთაშორისო გამოცდილებას და 5 ქვეყანას აერთიანებს, რომელსაც საქართველო 2008 წელს შეუერთდა. დღეს “დიპლომატ ჯორჯია“ წამყვან საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიას წარმოადგენს, მოწინავე ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურითა და მსოფლიო დონის სარეალიზაციო ქსელით.

გამოწვევა

DIPLOMAT GEORGIA-ში ყოველდღიურად დიდი რაოდენობით ხელმოსაწერი დოკუმენტი გროვდებოდა, როგორც პარტნიორ კომპანიებთან დაკონტრაქტებისთვის, ისე კომპანიის შიდა პროცესებისთვის.
დოკუმენტების გაფორმებისას წარმოიქმნებოდა ისეთი პრობლემები, როგორიცაა მათი ბეჭდვა და ვიზირება. შიდა პოლიტიკიდან გამომდინარე DIPLOMAT GEORGIA-ს მხრიდან რამდენიმე ადამიანი ადასტურებს თითოეულ ხელშეკრულებას და ძალიან რთული იყო ხელმოწერების შეგროვების პროცესი , შემდეგ ხელმოწერილი დოკუმენტების გაგზავნა საკურიერო მომსახურებით, ორივე მხრიდან ხელმოწერილი დოკუმენტების დასკანერება და დაარქივება,- აღნიშნული პროცესი ძალიან დიდი დროსა და ადამიანურ რესურს მოითხოვდა .

თავის მხრივ, HR დეპარტამენტში კი სხვადასხვა სახის დოკუმენტები ფორმდებოდა თანამშრომლებთან , რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მუშაობენ, რაც კიდევ უფრო ართულებდა ხელმოწერის პროცესს .

კომპანია ეძებდა ისეთ გადაწყვეტას, რომელიც მარტივად მოაგვარებდა დისტანციურად, როგორც პარტნიორ კომპანიებთან, ისე თანამშრომლებთან დაკონტრაქტების პროცესს.

გადაწყვეტა

DIPLOMAT GEORGIA-მ Signify-სთან თანამშრომლობა დაახლოებით 1 წლის წინ დაიწყო. ციფრული კონტრაქტინგის პლატფორმას წარმატებით იყენებენ ისეთ დეპარტამენტებში როგორიცაა: შესყიდვები, გაყიდვები და HR.

Signify საშუალებით სრულად გააციფრულა, 500-ზე მეტ პარტნიორ კომპანიასთან სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების გაფორმების პროცესი, ასევე 5-ჯერ უფრო აჩქარდა და გამარტივდა სამუშაო პროცესები. რაც მთავარია დაიზოგა დრო და რესურსები.

,,ჩვენი პარტნიორობის დასაწყისში, გვხდებოდა უფრო მეტი კომპანია, ვისაც არ ჰქონდა მზაობა, რომ სველი ხელმოწერის გარეშე გაგვეფორმებინა ხელშეკრულება. ძალიან მოკლე დროში ყველა დარწმუნდა, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე კომფორტული, გამართული და მარტივი საშუალება ორ მხარეს შორის შესათანხმებლად. საბოლოო ეტაპზე მივიღეთ საუკეთესო შედეგი და დღეს, ასობით თანამშრომელთან და 500-ზე მეტ პარტნიორ კომპანიასთან ვაფორმებთ სხვადასხვა ტიპის დოკუმენტებს ყოველდღიურად და რაც მთავარია ციფრულად.”



ბაკო ხაბურძანია
შესყიდვების გუნდის ლიდერი



მარტივად გადაიქცა დისტანციურად მყოფი თანამშრომლებისთვის გაგზავნის და ხელმოწერის პროცესი Signify-ის გამოყენებით. ხელმომწერ პირს, მეილზე ან ტელეფონის ნომერზე SMS-ის სახით ეგზავნება ბმული, მას კი ნებისმიერ დროს, ნებისმიერი ადგილიდან და მოწყობილობიდან შეუძლია დოკუმენტის ნახვა, ხელმოწერა ან დადასტურება.

გვანცა ბირკაძე
HR ადმინისტრაციის კოორდინატორი

შედეგი ბიზნესზე

1 წელი
დანერგვიდან

5,000+
ხელმოწერილი დოკუმენტი

60 000+
დაზოგილი ფურცელი

5X
ასწრაფებული პროცესი

1 წელია, რაც ,,Diplomat Georgia" ციფრული კონტარქტინგის პლატფორმას (Signify) აქტიურად იყენებს. ამ პერიოდის განმავლობაში ხელი მოეწერა **5 000**-ზე მეტ დოკუმენტს. დაიზოგა **60 000**-ზე მეტი ფურცელი, დრო და ადამიანური რესურსი.

მნიშვნელოვნად გამარტივდა როგორც პარტნიორებთან, ისე თანამშრომლებთან დაკონტრაქტების პროცესი, რამაც **5-ჯერ** უფრო აასწრაფა ბიზნეს პროცესები. 🚀

Signify

ციფრული კონტრაქტინგისა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებ გვერდს

signify.ge

© Signify 2023, ყველა უფლება დაცულია